



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 27/06/2013 წ. - გადაწყვეტილება №4 (დანართი №4)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული  
და მიღებულია

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მომზადა:	აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისია	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	აკადემიური საბჭო	

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R07G

განახლებულია: 17.06.2014

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების

თარიღი: 27/06/2013

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში  
აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო რევიზიის ნომერი.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ დოკუმენტის  
ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

**შინაარსი**

თავი I. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები.....	4
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები .....	4
მუხლი 3. ქცევის ზოგადი წესები .....	5
თავი II. დისციპლინარული სანქციები.....	6
მუხლი 4. დისციპლინარული სანქციები/ზომები.....	6
მუხლი 5. დისციპლინარული დარღვევები .....	6
მუხლი 6. კომპენსაცია .....	12
მუხლი 7. სანქციები იმ დისციპლინარული დარღვევებისათვის, რომელიც არ არის ზემოთ აღნიშნული.....	12
მუხლი 8. დისციპლინარული დარღვევის გამეორება/ დისციპლინარული დარღვევის ჩადენა ჯგუფის მიერ/ რამდენიმე დისციპლინარული დარღვევის ჩადენა.....	13
მუხლი 9. დისციპლინარული დარღვევის ფინანსური მხარეები .....	13
თავი III. დისციპლინარული წარმოება.....	14
მუხლი 10. დისციპლინარული წარმოების პრინციპები .....	14
მუხლი 11. უფლებამოსილი პირი / ორგანო.....	14
მუხლი 12. დისციპლინარული წარმოების ვადები .....	14
მუხლი 13. მოკვლევის ეტაპი .....	15
მუხლი 14. სტუდენტის უფლებები დისციპლინარული წარმოების პროცესში.....	17
მუხლი 15. დისციპლინარული წარმოების პროცესში გამოყენებული ზომები .....	18
მუხლი 16. მოკვლევის დასასრული .....	18
მუხლი 17. დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის სხდომის წარმართვის პროცედურული წესები.....	18
მუხლი 18. საჯარო მოსმენა .....	18
მუხლი 19. სანქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი საკითხები .....	19
მუხლი 20. სანქციის შეფადება.....	19
მუხლი 21. შეტყობინებები .....	19
მუხლი 22. გადაწყვეტილების გასაჩივრება.....	20
მუხლი 23. მასალების დაარქივება.....	20
მუხლი 24. კონფიდენციალობა .....	20
მუხლი 25. დასკვნითი დებულებები.....	20
მუხლი 26. ძალაში შესვლა.....	20



---

მუხლი 27. განხორციელება..... 20

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

- 1.1 წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „შსსუ“) სტუდენტების დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობის, შსსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და შსსუ-ს სხვა დებულებებთან ერთად.
- 1.2 წინამდებარე წესი მოიცავს დისციპლინურ დარღვევებთან, სანქციებთან, დისციპლინურ საბჭოებთან/კომიტეტებთან, დისციპლინარული წარმოების პროცესთან, წარმოების შედეგის გასაჩივრებასთან და სანქციის შეფასდებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1 *დისციპლინარული საბჭო:* შსსუ-ს ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის საბჭო;
- 2.2 *დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის თავმჯდომარე:* შსსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე; ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის საბჭოს თავმჯდომარე;
- 2.3 *დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის მდივანი:* შსსუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანი; ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის საბჭოს მდივანი;
- 2.4 *კამპუსი:* შსსუ-ს მთლიანი ტერიტორია (მათ შორის დამხმარე ფართი);
- 2.5 *კომიტეტი:* შსსუ-ს აკადემიური საბჭო;
- 2.6 *მომკვლევე:* პირი რომელიც (უფლებამოსილი პირის დავალებით) წინამდებარე წესის საფუძველზე, დისციპლინარული წარმოების განხორციელების მიზნით, ახორციელებს საგამომიებო მოქმედებებს;
- 2.7 *უფლებამოსილი პირი:* დისციპლინარულ წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო;
- 2.8 *ფინანსური დახმარება:* შსსუ-ს მიერ სტუდენტისათვის სწავლის პერიოდში გაწეული დახმარება, რომელიც შესაძლებელია გამოხატული იყოს სწავლის საფასურისაგან გათავისუფლების, ფინანსური შეღავათის, სტიპენდიის, გრანტის ან ნებისმიერი სხვა ფორმით;

- 2.9 შეუფერებელი ნივთი: ნებისმიერი სახის ნივთი, რომელის ფლობაც დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის მიერ შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც სტუდენტისათვის არამართლზომიერი.

### მუხლი 3. ქცევის ზოგადი წესები

- 3.1 შხსუ-ს სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის წესები, პერსონალთან და სტუდენტებთან ურთერთობის ეთიკური ნორმები, უნივერსიტეტში შესვლისა და გასვლის წესი.
- 3.2 სტუდენტის ნათესავები და ნაცნობები, აგრეთვე სხვა პირები რომლებიც არ იმყოფებიან შხსუ-სთან შრომით ან სასწავლო ურთიერთობაში, შესაბამისი პირის თანხმობის საფუძველზე, შხსუ-ს ტერიტორიაზე შემოდიან „სტუმრის ბარათით“. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლას აკონტროლებს შხსუ-ს დაცვის სამსახური.
- 3.3 დაცვის სამსახურის მიერ გაცემული მითითება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო წესრიგის შენარჩუნებასთან სავალდებულოა შხსუ-ს ყველა სტუდენტისათვის.
- 3.5 წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, შხსუ-ს დაცვის სამსახური უფლებამოსილია დამღვევის მიმართ მიიღოს შესაბამისი ზომები. თუ ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, დაცვის სამსახური უფლებამოსილია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.
- 3.6 საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შხსუ ვალდებულია უფლებამოსილია/ვალდებულია აცნობოს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებს სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინარული დარღვევის შესახებ.

## თავი II. დისციპლინარული სანქციები

### მუხლი 4. დისციპლინარული სანქციები/ზომები

- 4.1 შსსუ-ში მოქმედებს შემდეგი დისციპლინარული სანქციები/ზომები:
- 4.1.1 *გაფრთხილება*: სტუდენტი იღებს ზეპირ გაფრთხილებას მის მიერ ჩადენილი ქმედების დისციპლინარული ხასიათის შესახებ. სტუდენტის პირად საქმეში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
- 4.1.2 *საყვედური*: სტუდენტი იღებს საყვედურს წერილობითი ფორმით. საყვედურის ასლი ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
- 4.1.3 *კომპენსაცია*: უნივერსიტეტის ქონების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ დაზიანებული/განადგურებული/დაკარგული ქონების სანაცვლოდ გადახდილი კომპენსაცია (აღნიშნული სანქციის გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სანქციებთან ერთად).
- 4.1.4 *შეზღუდვა*: სტუდენტის უფლების შეზღუდვა მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში თუ მისი ქმედება საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, შსსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
- 4.1.5 *სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა*: სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების განხორციელება). სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება რექტორის აქტის საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რეგისტრაცია ხორციელდება საგანამართლებლო დაწესებულებების რეესტრში.

### მუხლი 5. დისციპლინარული დარღვევები

- 5.1 მოცემული ზომები წარმოადგენს დისციპლინარული დარღვევის მინიმალურ სანქციას. დისციპლინარულ პასუხისმგებლობაზე პასუხმგებელი პირი, დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სანქციის სახეს.

5.1.1	წესრიგის დამრღვევი ქმედება	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.1.1	ამორალური, არაეთიკური და/ან უხამსი ქმედება, რომელიც განხორციელდა კამპუსის შიგნით და/ან კამპუსის გარეთ შხსუ-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებში (მათ შორის მაღალ ხმაზე ყვირილი ან სიმღერა, მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრა და/ან მოსმენა კამპუსში, კამპუსის დაბინძურება)	x		
5.1.1.2	მოქმედება, რომელიც აბრკოლებს საგანმანათლებლო პროცესის წესრიგს და/ან უნივერსიტეტის ან რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილის ფუნქციონირებას და უხეშად ერევა მასში	x		
5.1.1.3	სამეცნიერო ხასიათის შეხვედრების ხელისშეშლა - ხმამაღალი საუბარი (მათ შორის მობილურ ტელეფონზე) და ა.შ	x		
5.1.1.4	შეხვედრებზე, სემინარებსა და ლექციებზე შეშფოთების შეტანა	x		
5.1.1.5	პირადობის მოწმობის (სტუდენტის ბარათის) ჩვენებაზე უარის თქმა უნივერსიტეტის ოფიციალური პირის მოთხოვნის საპასუხოდ, როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს	x		
5.1.1.6	უნივერსიტეტის უსაფრთხოების ნებისმიერი აღჭურვილობის, ცეცხლსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, განგაშის სიგნალის არამიზნობრივი გამოყენება	x		
5.1.1.7	ცრუ ინფორმაცია გარცელება/შეტყობინება ფეთქებადი ან აალებადი მოწყობილობის/ბომბის შესახებ		x	
5.1.1.8	სტუდენტებისა და სხვა პირთა პროვოცირება ხელი შეუშალონ საგანმანათლებლო პროცესს, საგანმანათლებლო პროცესის ჩაშლა და/ან ჩაშლის მცდელობა, პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ფორმით		x	
5.1.1.9	კამპუსში პოლიტიკური ხასიათის შემცველი ქმედებების განხორციელება		x	

5.1.2	აკადემიური პატიოსნების დარღვევა	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.2.1	პლაგიატი - სხვისი ნაშრომის გამოყენება ან მითვისება წყაროს მითითების გარეშე და ამგვარად მცდელობა, რომ ასეთი ნაშრომი წარმოდგენილ იქნეს როგორც საკუთარი	x		
5.1.2.2	აკადემიური მასალების კომერციული გამოყენება - კონსპექტებისა და სხვა მასალებისა გაყიდვა უნივერსიტეტის წერილობითი ნებართვის გარეშე		x	

5.1.3	პირადი შეურაცხოვა	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.3.1	ნებისმიერი პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფა ან მუქარა ფიზიკური შეურაცხყოფით		x	
5.1.3.2	ენის, ეროვნების, კანის ფერის, რელიგიის ან სხვა საფუძვლით დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება		x	
5.1.3.3	ნებისმიერი პიროვნების სიტყვიერი, ზეპირი ან წერილობითი შეურაცხყოფა, რაც შეიცავს უწესო, უხეში და შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებასა და ქცევის მანერას	x		
5.1.3.4	დაშინება - ქცევა (მათ შორის, წერილობითი /ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებით), რომელიც მიმართულია საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელიმე წევრისადმი, რომლის მიზანიცაა ამ უკანასკნელისათვის ძლიერი ემოციური სტრესის მიყენება, დაშინება, პიროვნების მსხვერპლის როლში ჩაყენება, ფიზიკური დაზიანებით ან სიკვდილით დამუქრება		x	
5.1.3.5	სხვა პირების პატივისცემის გარეშე მოპყრობა, მათ პირად საქმეში უხეში ჩარევა. (აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევებს, თუ დამტკიცდა, რომ დამრღვევი ასე იქცეოდა თავდაცვის მიზნით)		x	



5.1.4	მაგნე ჩვევები და ამორალური საქციელი	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.4.1	აზართული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა კამპუსის ტერიტორიაზე	X		
5.1.4.2	კამპუსის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საუნივერსიტეტო აქტივობებში (შეხვედრა, საველე სამუშაო და ა.შ) ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა		X	
5.1.4.3	კამპუსის ტერიტორიაზე არამორალური, არაეთიკური ხასიათის პოსტერების და ფლაერების გავრცელება		X	
5.1.4.4	სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისაგან ფინანსური დახმარების მიღების მიზნით უნივერსიტეტისათვის მიუღებელი/საფრთხის შემცველი ქმედებების განხორციელება		X	
5.1.4.5	თამბაქოს მოწვევა შეუფერებელ ადგილას	X		
5.1.4.6	უნივერსიტეტის თამამშრომლებისათვის დისციპლინარული წარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა		X	
5.1.4.7	თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლის გაყიდვა და/ან გადაზიდვა მოგების მიღების მიზნით		X	

5.1.5	უკანონო ქმედებები	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.5.1	იარაღის უკანონო ტარება		X	
5.1.5.2	ქურდობა, უნივერსიტეტის და /ან უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი პირის ქონების დაზიანება და/ან განადგურება, ნებართვის გარეშე ქონების ფლობა ან გამოყენება, მათ შორის პირადი ან საუნივერსიტეტო ქონება		X	
5.1.5.3	შხსუ-ს მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (მათ შორის სტუდენტის ბარათის) გადაცემა სხვა პირისათვის ან უნივერსიტეტის შეცდომაში შეყვანის მიზნით სხვა პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამოყენება უნივერსიტეტის შეცდომაში შეყვანის მიზნით		X	
5.1.5.4	თაღლითობა		X	
5.1.5.5	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სხვა ქმედებების განხორციელება			X

5.1.6	აგრესიული მოქმედება/ ვანდალიზმი	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.6.1	ოფიციალური განცხადებების დახვევა, დაზიანება, განადგურება, დასვრა, მოპარვა	x		
5.1.6.2	პოსტერების და პლაკატების განთავსება მისთვის შეუფერებელ ადგილას	x		
5.1.6.3	შსს-ს მიერ შეუფერებლად მიჩნეული ნივთის ფლობა/გამოყენება		x	
5.1.6.4	ცრუ/არასწორი ინფორმაციის შემცველი საჩივრების წარდგენა. შსს-ს თანამშრომელთათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა		x	
5.1.6.5	უნივერსიტეტის ქონებაზე დახატვა, დაწერა		x	
5.1.6.6	უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა შეშინება, შეურაცხოვის მიყენება, თავდასხმა და/ან ამის მცდელობა		x	
5.1.6.7	უნივერსიტეტის თანამშრომელთა მოხსენიება არაეთიკური, ამორალური, მიუღებელი ფორმით (როგორც ზეპირი, ასევე წერილობით ფორმით). სტუდენტების მოწოდება ამგვარი საქციელის ჩადენისაკენ		x	
5.1.6.8	სტუდენტისათვის აკრძალული ადგილებში შეღწევა, შეღწევის შედეგად ზიანის გამოწვევა		x	
5.1.6.9	უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა გაყვანა კამპუსიდან ძალის, დაშინების, მუქრის, მოტყუების ან ნებისმიერი სხვა მიუღებელი ფორმის გამოყენებით. მათი ვალდებულების შესრულებისათვის ხელის შეშლა უკანონო ფორმით, სტუდენტების მოწოდება ამგვარი საქციელისაკენ		x	
5.1.6.10	უნივერსიტეტის სათავსოების გასაღების უკანონო ფლობა, დიბლიკატის გაკეთება, უკანონო გამოყენება		x	

5.1.7	საინფორმაციო ტექნოლოგიების არამიზნობრივი გამოყენება	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.7.1	ლექციაზე უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსებისა და ტელეკომუნიკაციების ქსელების არაკადემიური მიზნებისათვის გამოყენება	x		
5.1.7.2	სწავლისგან თავისუფალ დროს უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსების გამოყენებისას "სკამი"-ს გაგზავნა, გასართობი და არაზნეობრივი შინაარსის პროგრამების გადმოტვირთვა და გამოყენება	x		
5.1.7.3	უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსების გამოყენება აუდიო, ვიდეო, ფოტოებისა და ტექსტობრივი მასალის არასანქცირებული კოპირებისა და გავრცელებისათვის	x		
5.1.7.4	უნივერსიტეტის კომპიუტერული ან საკომუნიკაციო აღჭურვილობის მუშაობისათვის შეგნებულად ხელის შეშლა/დაზიანება	x		
5.1.7.5	უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსებისა და საკომუნიკაციო ქსელების გამოყენება კომერციული მიზნით	x		
5.1.7.6	შხსუ-ს პერსონალის პირად კომპიუტერებში და სამუშაო მაგიდეებზე არსებული მასალების ნახვა, მათ შორის იმ მასალებისა, რომლებიც დაკავშირებული გამოცდებთან		x	
5.1.7.7	ინტერნეტის გამოყენება ჰაკერობისა და პორნოგრაფიისათვის		x	

5.1.8	უკანონო ორგანიზაციები/შეკრებები	გაფრთხილებ	საყვედური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.8.1	უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული გაფიცვის/ამბოხების პროგანდა, ორგანიზება და მონაწილეობა		x	
5.1.8.2	უკანონო შეხვედრების ორგანიზება და მონაწილეობა, უკანონო ორგანიზაციის წევრობა		x	
5.1.8.3	უკანონო პოლიტიკური, იდიოლოგიური ხასიათის ბანერების, პოსტერების შენახვა		x	
5.1.8.4	უკანონო გაერთიანებების ფორმირება		x	

5.1.9	გამოცდების წესების დარღვევა	გაფრთხილებ	საწყვიდური	სტატუსის შეწყვეტა
5.1.9.1	გამოცდაზე საგამოცდო ბარათის/სტუდენტური ბარათის წარუდგენლობა		x	
5.1.9.2	დამკვირვებლისადმი უზრდელობა, უტაქტო საქციელი		x	
5.1.9.3	გადაწერა ან გადაწერის მცდელობა. უკანონო დახმარების მიღება ან გაცემა წერილობითი, ზეპირი, საკომუნიკაციო ან სხვა ფორმის საშუალებით, არამართლზომიერი მასალის ფლობა		x*	
5.1.9.4	საგამოცდო ნამუშევრის ჩაბარებისა და დამკვირვებლის ნებართვის გარეშე საგამოცდო ოთახის დატოვება		x*	
5.1.9.5	საგამოცდო ფურცელში, ნაშრომში ან პროექტში ისეთი მასალის ჩაწერა, რომელიც არ იყო ნასწავლი და დამოუკიდებლად შედგენილი, არამედ მოპოვებულ იქნა სხვისი დახმარებით		x*	
5.1.9.6	საგამოცდო პროცესის ჩაშლა		x	
5.1.9.7	საგამოცდო ოთახში არსებული საჩვენებელი მასალის დაზიანება		x	
5.1.9.8	პასუხების ფურცლის ჩაუბარებლობა		x*	
5.1.9.9	საგამოცდო ფურცლის, პასუხების ფურცლის დახვევა		x*	
5.1.9.10	სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლა/ სხვისი შეშვება გამოცდაზე		x*	

x\*: გამოცდის შედეგი განუღდება

## მუხლი 6. კომპენსაცია

- 6.1 უნივერსიტეტის ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს გამოწვეული ზიანი.

## მუხლი 7. სანქციები იმ დისციპლინარული დარღვევებისათვის, რომელიც არ არის ზემოთ აღნიშნული.

- 7.1 ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც არ არის განსაზღვრული ზემოაღნიშნულ ცხრილში დაისჯება ყველაზე ახლოს მდგომი სასჯელით მისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით.
- 7.2 სტუდენტები ვალდებულები არიან დაემორჩილონ წესებს, რომლებიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში, საერთო საცხოვრებელში, ლაბორატორიებში და უნივერსიტეტის/კამპუსის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში. აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 8. დისციპლინარული დარღვევის გამოორება/ დისციპლინარული დარღვევის ჩადენა  
ჯგუფის მიერ/ რამდენიმე დისციპლინარული დარღვევის ჩადენა**

8.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სწავლის პერიოდში მიღებული განსაზღვრული რაოდენობის საყვედური - (სწავლების პირველი საფეხურისათვის 3 საყვედური, სწავლების მეორე საფეხურისათვის 2 საყვედური, სწავლების მესამე საფეხურისათვის 1 საყვედური).

[\(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივნისის # 3 გადაწყვეტილებით\).](#)

8.2 თუ დისციპლინარული დარღვევა ჩადენილია სტუდენტთა ჯგუფის მიერ, აღნიშნული მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის სიმკაცრის შეფასებისას.

8.3 თუ ერთი ქმედება მოიცავს რამდენიმე დისციპლინარულ დარღვევას (რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა სანქციას), გამოყენებული იქნება უფრო მაღალი სანქცია.

**მუხლი 9. დისციპლინარული დარღვევის ფინანსური მხარეები**

9.1 სტუდენტები, რომლებმაც პირველად მიიღეს წერილობითი საყვედური - მოეხსნებათ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ფინანსური დახმარებ(ებ)ი მიმდინარე (მომდევნო) სემესტრში. წერილობითი საყვედურის განმეორებით მიღების შემთხვევაში, სტუდენტს მოეხსნება ფინანსური დახმარებ(ებ)ი შესაბამის საფეხურზე დარჩენილი სწავლების მთელი პერიოდისათვის.

9.2 დისციპლინარული პასუხისმგებლობის სახით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის მიცემული ყველა სახის ფინანსურ დახმარების შეწყვეტას.

### თავი III. დისციპლინარული წარმოება

#### მუხლი 10. დისციპლინარული წარმოების პრინციპები

- 10.1 სტუდენტის მიმართ დისციპლინარული წარმოება უნდა იყოს დისციპლინარული გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.
- 10.2 სტუდენტის მიმართ დისციპლინარული წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
- 10.3 სახელმწიფო ორგანოების მიერ დისციპლინარულ დარვევასთან დაკავშირებული გამოძიების დაწყება/სანქციის დაკისრება არ იწვევს შხს-ს მიერ ინიცირებული დისციპლინარული წარმოების შეწყვეტას/დაკისრებული სანქციის გაუქმებას.

#### მუხლი 11. უფლებამოსილი პირი / ორგანო

- 11.1 დეკანი, დირექტორი, ფაკულტეტის/სკოლის/ ინსტიტუტის/ ცენტრის საბჭო/ აკადემიური საბჭო უფლებამოსილია დაიწყოს და წარმართოს დისციპლინარული წარმოება.
- 11.2 უფლებამოსილი პირი/ორგანო უფლებამოსილია თავად აწარმოოს დისციპლინარული წარმოება ან ამისათვის დანიშნოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
- 11.3 დისციპლინარული საბჭო უფლებამოსილია სტუდენტს სანქციის სახით განუსაზღვროს გაფრთხილება და საყვედური. დისციპლინარული საბჭო ვალდებულია სტუდენტურ საქმეთა განყოფილებას აცნობოს შეფარდებული დისციპლინარული სანქციის შესახებ.
- 11.4 კომიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს სანქციის სახით განუსაზღვროს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შესაბამისი დისციპლინარული საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

#### მუხლი 12. დისციპლინარული წარმოების ვადები

- 12.1 დისციპლინარული წარმოება იწყება უფლებამოსილი პირისათვის დისციპლინარული დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მომდევნო დღეს.

- 12.2 დისციპლინარული წარმოება უნდა დასრულდეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 12.3 მოკვლევის ეტაპი უნდა განხორციელდეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 12.4 თუ მომკვლევნი ვერ დაასრულებს მოკვლევას ზემოაღნიშნულ პერიოდში, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დრო (განმარტებითი ბარათის საფუძველზე). აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინარული წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი პირი.
- 12.5 მოკვლევის საბოლოო ანგარიში დისციპლინარულ საბჭოს/კომიტეტს გადაეცემა 3 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 12.6 დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი მოკვლევის მასალებს შეისწავლის 3 სამუშაო დღის განმავლობაში და ნიშნავს საჯარო მოსმენის დროსა და ადგილს.
- 12.7 საჯარო მოსმენის შესახებ სტუდენტს ეცნობება საჯარო მოსმენამდე 3 კალენდარული დღით ადრე ამ წესის მე-14 მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 12.8 თუ დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის შეფარდება არ განხორციელდა დარღვევის განხორციელებიდან 2 სემეტრის განმავლობაში, სტუდენტს სანქცია აღარ დაეკისრება. ამასთან, თუ სანქციის შეფარდებისათვის უფლებამოსილ პირს ესაჭიროება სასამართლო გადაწყვეტილება, ვადის ათვლა ხდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. სასამართლო გადაწყვეტილების დალოდებისათვის საჭიროების დადგენის განსაზღვრა ხდება დისციპლინარულ საბჭოს/კომიტეტის მიერ.

### მუხლი 13. მოკვლევის ეტაპი

- 13.1 მოკვლევა წარმოადგენს დისციპლინარული წარმოების საწყის ეტაპს. მოკვლევას ახორციელებს მომკვლევნი წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
- 13.2 თუ მომკვლევნი არის უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ განსაზღვრული პირი, მას გადაეცემა დისციპლინარული წარმოების დაწყებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი/ მასალა.
- 13.3 მომკვლევნი ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც საჭიროა დისციპლინარული წარმოების სრულყოფილი წარმართვისათვის (მათ შორის მოწმეთა დაკითხვა, შემთხვევის ადგილის შემოწმება, მტკიცებულებების მოპოვება (მათ შორის ვიდეომასალას) და საჭიროების შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის მიღება).

- 15.1 დისციპლინარული წარმოების პროცესში განხორციელებულ ღონისძიებებს მომკვლევნი ასახავს მოკვლევის მიმდინარე ანგარიშში და საბოლოო ანგარიშში.
- 15.2 მოკვლევის მიმდინარე ანგარიშში, სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, მოიცავს ინფორმაციას მოკვლევისათვის განხორციელებული ღონისძიების დროის, ადგილის, მონაწილე პირების, დასმული შეკითხვებისა და პასუხების შესახებ. აგრეთვე ნებისმიერ სხვა ინფორმაციას რაც დაკავშირებულია მოკვლევის პროცესთან. მიმდინარე ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს მომკვლევისა და პროცესში ჩართული პირების მიერ. მიმდინარე ანგარიშის შედგენის საჭიროებას განსაზღვრავს მომკვლევნი და/ან დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი.
- 15.3 მოკვლევის საბოლოო ანგარიშში, სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, მოიცავს მოკვლევის დაწყების საფუძველს, თარიღს, მოკვლევის ქვეშ მყოფ პირს, დისციპლინარული დარღვევის სახე(ებ)ს, მოკვლევის ეტაპებს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას რაც დაკავშირებულია მოკვლევის პროცესთან. საბოლოო ანგარიშში ანალიზებს დისციპლინარული დარღვევის სახე(ებ)ს და იმ ფაქტებს რაც მხედველობაში არის მისაღები სანქციის განსაზღვრისათვის. ანგარიშში მოიცავს სავარაუდო სანქცი(ებ)ს. საბოლოო ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს მომკვლევის მიერ. საბოლოო ანგარიშში და მოკვლევის პროცესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი/ მასალა გადაეცემა უფლებამოსილ პირს/ორგანოს. საბოლოო ანგარიშის შედგენა სავალდებულოა.
- 13.4 საბოლოო ანგარიშში მითითებული სავარაუდო სანქცია დისციპლინარული საბჭოსათვის/კომიტეტისათვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის მიერ საჯარო მოსმენაზე მიღებული ინფორმაციისა და მოკვლევის მასალის შესწავლის შედეგად.
- 13.5 უნივერსიტეტის პერსონალი (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული) ვალდებულია მომკვლევს მიაწოდოს მის ხელთ არსებული საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მოკვლევის პროცესს.
- 13.6 დისციპლინარული წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინარული წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინარული წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა საბჭომ/კომიტეტმა.



#### მუხლი 14. სტუდენტის უფლებები დისციპლინარული წარმოების პროცესში

- 14.1 დისციპლინარული წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
- 14.1.1 წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინარული წარმოების დაწყების შესახებ;
  - 14.1.2 დაესწროს დისციპლინარული წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
  - 14.1.3 მიაწოდოს მომკვლევს/დისციპლინარულ საბჭოს/ კომიტეტს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
  - 14.1.4 მონაწილეობა მიიღოს მომკვლევის/ დისციპლინარული საბჭოს/ კომიტეტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
  - 14.1.5 მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინარული წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;
  - 14.1.6 სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს კომიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
- 14.2 დისციპლინარული წარმოების დაწყების თაობაზე სტუდენტს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით დისციპლინარული წარმოების დაწყებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში. შეტყობინების ასლი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებაში სტუდენტის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირს.
- 14.3 შეტყობინება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საჯარო მომხმენის დროისა და ადგილის, აგრეთვე ამ წესის 14.4 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების შესახებ. თუ სტუდენტს შეტყობინება პირადად ვერ ჩაბარდა, შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს საინფორმაციო დაფებზე უნივერსიტეტში/კამპუსში. საინფორმაციო დაფებზე განთავსებულ შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია არ უნდა მოიცავდეს დარღვევის შინაარსის შესახებ და არ უნდა იყოს დისკრედიტაციული ხასიათის.
- 14.4 საჯარო მოსმენაზე სტუდენტის გამოუხადებლობა (გარდა 14.5. პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა) არ შეაჩერებს საქმის განხილვას. ასეთ შემთხვევაში მიჩნეულ იქნება, რომ სტუდენტმა გამოიყენა დაცვის უფლება და გადაწყვეტილების მიღება მოხდება მოკვლევის მასალებსა და საჯარო მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით.
- 14.5 თუ საჯარო მოსმენაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა განპირობებულია საპატიო მიზეზით (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტს ადგენს დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი) სტუდენტი უფლებამოსილია მისი პოზიცია წარადგინოს წერილობითი ფორმით ან განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ პირს/ორგანოს საჯარო მოსმენის გადატანის შესახებ.

### მუხლი 15. დისციპლინარული წარმოების პროცესში გამოყენებული ზომები

- 15.1 თუ სტუდენტის ქმედება საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, შსსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას, მომკვლევ უფლებამოსილია მოითხოვოს დისციპლინარული წარმოების მიმდინარეობის ვადით შეიზღუდოს სტუდენტის უფლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. სტუდენტის უფლების შეზღუდვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი.

### მუხლი 16. მოკვლევის დასასრული

- 16.1 მომკვლევს მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში და თანდართული დოკუმენტები ეგზავნება დისციპლინარულ საბჭოს/კომიტეტს.
- 16.2 მასალების შესწავლის პროცესში დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმარტება მომკვლევსაგან ან მოკვლევის რომელიმე ეტაპის დამატებით ან განმეორებით შესრულება.

### მუხლი 17. დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის სხდომის წარმართვის პროცედურული წესები

- 17.1 დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი იკრიბება საბჭოს /კომიტეტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას.
- 17.2 დისციპლინარული საბჭოს მდივანი ახდენს შეხვედრისათვის საჭირო საკითხების ორგანიზებას და დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის წევრების ინფორმირებას სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.
- 17.3 დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
- 17.4 გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით. წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს საკითხის მომხრედ ან მოწინააღმდეგ. წევრს არ აქვს უფლება შეიკავოს თავი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარ რაოდენობად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, მდივანი და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

### მუხლი 18. საჯარო მოსმენა

- 18.1 დისციპლინარული საბჭოს/კომიტეტის მიერ მოკვლევის მასალების შესწავლის შემდეგ ტარდება საჯარო მოსმენა.
- 18.2 საჯარო მოსმენაზე ხდება მომკვლევს და სტუდენტის მიერ მათი პოზიციების დაფიქსირება. დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი უფლებამოსილია

დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხზე განმარტება მიიღოს სხვა პირებისაგანაც, დასვას შეკითხვები, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

- 18.3 მოკვლევის მასალებისა და საჯარო მოსმენაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დისციპლინარული საბჭო/კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის დისციპლინარული სანქციის შეფარდებისა და სანქციის სახი(ებ)ს განსაზღვრის შესახებ.

### მუხლი 19. სანქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი საკითხები

- 19.1 დისციპლინარული სანქციის სახის განსაზღვრისას მომკვლევმა/დისციპლინარულმა საბჭომ/კომიტეტმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი გარემოებები:
- 19.1.1 ქმედების სიმძიმე/ხარისხი;
  - 19.1.2 ქმედების ჩადენის მომენტში სტუდენტის განზრახვა;
  - 19.1.3 დისციპლინარული დარღვევის განმეორებითი ჩადენის ფაქტის არსებობა;
  - 19.1.4 სტუდენტის ზოგადი დახასიათება (პიროვნული, აკადემიური);
  - 19.1.5 სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინარული დარღვევის მონანიების ფაქტი.

### მუხლი 20. სანქციის შეფადება

- 20.1 დისციპლინარული სანქციის შეფარდება მოხდება დისციპლინური საბჭოს/კომიტეტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს, თუ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

### მუხლი 21. შეტყობინებები

- 21.1 რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ დაფიქსირებული მობილურის ნომერი, საფოსტო მისამართი/ელექტრონული ფოსტა ჩაითვლება სტუდენტის ოფიციალურ საკონტაქტო ინფორმაციად და აღნიშნულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სტუდენტისათვის გაგზავნილ შეტყობინებად.
- 21.2 სტუდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის სიზუსტეზე. თუ სტუდენტის მიერ მითითებულია არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია, აღნიშნული არ იწვევს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას შეტყობინების არასწორ/არაზუსტ მისამართზე გაგზავნის შესახებ.

## მუხლი 22. გადაწყვეტილების გასაჩივრება

- 22.1 დისციპლინური საბჭოს/კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს კომიტეტში 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 22.2 სტუდენტი უფლებამოსილია გასაჩივროს კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოში.

## მუხლი 23. მასალების დაარქივება

- 23.1 დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები ინახება უფლებამოსილ პირთან. ჩანაწერი კეთდება სტუდენტის პირად საქმეში და ინფორმაცია ეგზავნება სტუდენტურ საქმეთა განყოფილებას.

## მუხლი 24. კონფიდენციალობა

- 24.1 დისციპლინარული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა. უნივერსიტეტის თანამშრომლის მხრიდან კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება „თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ - IBSU.R06G-ს შესაბამისად.

## მუხლი 25. დასკვნითი დებულებები

- 25.1 საკითხები რომელიც არ წესრიგდება ამ წესით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, შსს-ს ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შინაგანწესითა და სხვა დებულებებით.
- 25.2 წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილება შედის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

## მუხლი 26. ძალაში შესვლა

- 26.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2013-2014 აკადემიური წლიდან.

## მუხლი 27. განხორციელება

- 27.1 წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლი ევალება რექტორს.

## შეტანილი ცვლილებები:

1. [აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივნისის # 3 გადაწყვეტილება.](#)

თავდაპირველი ვერსია: **27.06.2013**

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

*შსსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

**გამოსცა:**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131

საქართველოს რესპუბლიკა

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

